№1381 2015 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. 2014-2015 წლებში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყოს 15 400 000 (თხუთმეტი მილიონ ოთხასი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს - 2 600 000 (ორი მილიონ ექვსასი ათასი) ლარი;

ბ) მესტიის მუნიციპალიტეტს - 1 570 000 (ერთი მილიონ ხუთას სამოცდაათი ათასი) ლარი;

გ) ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს - 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს - 1 450 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ე) სამტრედიის მუნიციპალიტეტს - 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარი;

ვ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს - 950 000 (ცხრაას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ზ) ხობის მუნიციპალიტეტს - 900 000 (ცხრაასი ათასი) ლარი;

თ) ხონის მუნიციპალიტეტს - 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი;

ი) ცაგერის მუნიციპალიტეტს - 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

კ) მარტვილის მუნიციპალიტეტს - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

ლ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

მ) ბორჯომის მუნიციპალიტეტს- 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

ნ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს - 480 000 (ოთხას ოთხმოცი ათასი) ლარი;

ო) ვანის მუნიციპალიტეტს - 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

პ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს - 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ჟ) დუშეთის მუნიციპალიტეტს - 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი;

რ) საჩხერის მუნიციპალიტეტს - 300 000 (სამასი ათასი) ლარი;

ს) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს - 200 000 (ორასი ათასი) ლარი;

ტ) სენაკის მუნიციპალიტეტს - 100 000 (ასი ათასი) ლარი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიეცეთ უფლება, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები განახორციელონ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**